შემოსავლების
სამსახური

# ბრძანება N 14704

04/05/2015

## რიგი გადამხდელების მიმართ ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-10 ნაწილის და “გადასახადების ადმინისტრირების შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანების მე-14 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ვინაიდან ვერ ხერხდება ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ დანართი N1-ში მითითებულ გადამხდელებზე გამოცემული ბრძნებების კოდექსის დადგენილი წესით ჩაბარება, აღნიშნულ დანართში მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების გადამხდელებისათვის საჯარო შეტყობინებების მიზნით განხორციელდეს მათი საჯაროდ გავრცელება.
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსების მიზნით, ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ დანართი N1-ში მითითებული ბრძანებები გადაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საფინანსო ანალიტიკურ სამსახურს.
3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა უზრუნველყოს ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ დანართი N1-ში მითითებული ბრძანებების შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე (www.rs.ge) გამოქვეყნება.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: გადახდევინების ღონისძიებების სამმართველოს უფროსის #50895-21-05, 21.04.2015 წ. სამსახურებრივი ბარათი.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი